

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №2

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის (პროექტი 100 ახალი საავადმყოფო) შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №2

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი მაღალტექნოლოგიური 100 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი დიღმის სამედიცინო კლასტერში;
- ერთი 25 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი სიღნაღის რაიონი, დაბა წნორში
- ერთი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ინვესტორის შერჩევით გენერალური გეგმის შესაბამისად.

გადასაცემი ობიექტები:

- შპს “ჟორდანია”ს სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი”
- სს “ფაღავას პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი”

შერჩევაში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს 2 175 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია ალბულო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

შემოთავაზებები შერჩევისათვის წარმოსადგენი იქნება დახურულ კონვერტებში. მათი წარმოდგენის საბოლოო ვადაა 9 მარტი 17:00 საათი.

კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ 9 მარტს, 17:30 საათზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801. კონვერტით წარმოდგენილი შემოთავაზება საბოლოოა და გაუმჯობესებას არ ექვემდებარება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01; 98-65-65.

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №2 - კონკურსის შედეგები:

კომპანია “ევორდ კაპიტალი” საქართველოში 16 საავადმყოფოს ააშენებს

ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით

გამოცხადებული კონკურსის პირველი ეტაპი დასრულდა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გამარჯვებულის ვინაობა გამოვლინდა.

მთავრობამ პირველ ეტაპზე კონკურსში მონაწილეთათვის გადასაცემად ორი ობიექტი გამოიტანა - შპს “ჟორდანია”ს სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი” და სს “ფაღავას პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი”.

საუკეთესო საკონკურსო პირობები, ხუთი მონაწილე კომპანიიდან, კომპანია “ევორდ-კაპიტალი” წარმოადგინა, რომელმაც სახელმწიფოს 415 საწოლ ადგილზე გათვლილი ახალი საავადმყოფოების ააშენებს გეგმა შესთავაზა.

"ევორდ კაპიტალი" თბილისში 100-საწოლიან, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ერთ საავადმყოფოს, ხოლო საქართველოს 15 რაიონში თითო საავადმყოფოს ააშენებს.

ინფორმაცია, ასაშენებელი საავადმყოფოების რაიონული განლაგების, საწოლების რაოდენობისა და მშენებლობის დასრულების ვადების შესახებ:

- თბილისი – 100 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- წნორი – 25 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 18-24 თვე;
- მარნეული – 50 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- გუდაური – 15 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- ოზურგეთი – 25 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- ზესტაფონი – 25 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- სამტრედია – 25 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- ბორჯომი – 25 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- ხაშური – 20 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- ბაკურიანი – 15 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- დმანისი – 15 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- სენაკი – 15 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;

- კასპი – 15 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- დედოფლისწყარო – 15 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- ლაგოდეხი – 15 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;
- ქურთა (ცხინვალის რეგიონი) – 15 (საწოლების რაოდენობა) – ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვე;

აღნიშნული რაიონები მომავალ კონკურსში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.